ურთიერთშეთანხმების აქტი

ქ.თბილისი „8“ ივნისი 2016 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ილია ტარასაშვილი და მეორეს მხრივ სსიპ საქართველოს „შსს აკადემიის“ პრორექტორი ზაალ კაპანაძე, 2016 წლის 6 მაისს გაფორმებული №162 ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1 და 9.5 პუნქტების შესაბამისად, ვთანხმდებით მასზედ, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება. კერძოდ, ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 და მე-2 მუხლის 2.1 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1) „1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს სამსახურის 11 (თერთმეტი) თანამშრომლის სატრეინინგო მომსახურებას (სპეციალური საბაზისო მომზადების კურსი კომპიუტერულ პროგრამაში) „შემსყიდველის“ მოთხოვნისა და ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად (კლასიფიკატორის კოდი 80500000).“;

2) „2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 451 (ოთხას ორმოცდათერთმეტი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“);“.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის ეკონომიკური
დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე **ილია ტარასაშვილი**

სსიპ საქართველოს „შსს აკადემიის“
პრორექტორი **ზაალ კაპანაძე**